საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-102

ქ. თბილისი

03/02/2020

შპს „ფერის“ მცირე სიმძლავრის „ხადორი ჰესი 2“-ზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ

2020 წლის 22 იანვარს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ფერის“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და გარემოსდაცვითი ნებართვის გაუქმება.

2003 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ფერის“ მცირე სიმძლავრის „ხადორი ჰესი 2“-ზე გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №25; 04.04.2003) და გარემოსდაცვითი ნებართვა, თუმცა მინისტრის შესაბამისი ბრძანება გამოცემული არ არის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდისთვის დასკვნები გაცემულია შესაბამისი ბრძანების გარეშე, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2004 წლის წყალდიდობის შედეგად განადგურდა ჰესის შენობა და ჰიდროელექტროსადგური იმ პერიოდიდან აღარ ფუნქციონირებს, რაც დადასტურდა სსდ-გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ საწარმოს ტერიტორიის შემოწმების შედეგად. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ფერის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ფერის“ მცირე სიმძლავრის „ხადორი ჰესი 2“-ზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2003 წლის 4 აპრილს გაცემული №25 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ფერის“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ფერის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი,

მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი